სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/156

აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილისათვის
ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის და 62–ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულების“ (აკადემიური საბჭოს ოქმი N18, 17.04.2007 წ.), ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№26-05/11, 29.07.2025) და ამავე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000930869, 30.07.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ **სოლომონ პავლიაშვილს** მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს პროფესორ სოლომონ პავლიაშვილს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე აროშიძე**